საქართველოს მთავრობის განკარგულება

№224 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

შპს „ნეო სინემას“ მხარდასაჭერად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „ნეო სინემას“ მიერ მხატვრული ფილმის - „ჩემი ხატია სამშობლო“ პრომორგოლის გადაღების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განახორციელოს შპს „ნეო სინემასათვის“ (ს/კ: №438728290) სათანადო დახმარების გაწევა და 1 (ერთი) დღის ვადით შპს „ნეო სინემას“ მიერ 48 (ორმოცდარვა) ლარის სანაცვლოდ (მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, მიმღების ანგარიში: 200122900, სახაზინო კოდი: 302006500) დანართით განსაზღვრული რესურსებით უზრუნველყოფა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის
2016 წლის 11 თებერვლის
№224 განკარგულების

დანართი

1. ავტომანქანა „პიკაპი“ -1 (ერთი) ერთეული.
2. პისტოლეტი „პმ“ 9X18 მმ - 1 (ერთი) ცალი.
3. ავტომატი „აკმ“ 7.62X39 მმ - 1 (ერთი) ცალი.
4. ფუჭი ვაზნა 7,62X39 - 30 (ოცდაათი) ცალი.
5. ჩაფხუტი - 11 (თერთმეტი) ცალი.
6. ფორმა საველე კომუფლირებული (მულტიკამი) - 11 (თერთმეტი) კომპლექტი.
7. განტვირთვის ჟილეტი - 11 (თერთმეტი) ცალი.
8. ზურგჩანთა - 11 (თერთმეტი) ცალი.
9. წყლის მათარა - 11(თერთმეტი) ცალი.
10. კარდალა - 11 (თერთმეტი) ცალი.
11. ფეხოსნის მცირე ნიჩაბი - 11 (თერთმეტი) ცალი.
12. მაღალყელიანი ფეხსაცმელი - 11 (თერთმეტი) წყვილი.
13. პარალონი - 11(თერთმეტი) ცალი.